ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N34

2022 წლის 25 მაისი

ქ. ქობულეთი

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობაზე საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ" ქვეპუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 მაისის N114-1142213664 მომართვის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში მდებარე 107,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 5400 (ხუთიათას ოთხასი) ლარის ოდენობით, ხოლო მასზე განთავსებული 53,7 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ 20.49.01.203) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 18800 (თვრამეტიათას რვაასი) ლარის ოდენობით;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში მდებარე 107,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 53,7 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ 20.49.01.203) განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2018 წლის 11 აპრილის N63 განკარგულება „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობაზე საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ";

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი